ჩვენი გაზეთი რვაგვერდიანი გახდა! – 16 კროსვორდით

# ფანტაზია

№ 1 (27)

6 იანვარი, 1997 წ.

ი/ს „ფანტაზიის“ ყოველკვირეული შემეცნებით-გასართობი გაზეთი.

ფასი 50 თეთრი

## «ბუდარია», ბრავო!!!

„ბუდარიას“ საახალწლო გამოშვებამ იმდენი გვაცინა, რომ თავს ვალდებულად ვთვლით, მადლობა გადავუხადოთ ამ უნიჭიერეს ყმაწვილებს!!!

ასეთი ლაღი და ორიგინალური იუმორი არცერთ არხს; კომპანიას თუ სტუდიას არ გააჩნია...

«ბუდარია», ბრავო!!!

მალე გამოვა ალ. ელერდაშვილის მიერ თარგმნილი ომარ ხაიამის რობაიები, გირჩევთ შეიძინოთ.







## ლიტერატურული კროსვორდი

✱ **თარაზულად:** 1. დონ კიხოტის მსახური. 4. ლერმონტოვის „ჩვენი დროის გმირის“ პერსონაჟი ქალი. 5. „სიბრძნე სიცრუისას“ პერსონაჟი. 7. ტომ სოიერის ლიტერატურული მამა. 8. ამერიკელთა სიმებიანი საკრავი. 10. აფხაზეთის მკვიდრი. 13. გულივერის ლიტერატურული მამა. 14. ნინოშვილის მოთხრობის მიხედვით გადაღებული ფილმი. 16. ქსოვილის კიდეზე შემოვლებული ზოლი. 19. ტელეთოჯინა. 21. ცეცხლის და კერიის რომაული ღვთაება. 22. თურქეთში დარჩენილი ქართული ძეგლი. 23. ავტორი „ტარტარან ტარასკონელისა“. 24. აშშ-ს შტატი.

✱ **შვეულად:** 1. აკრობატული ილეთი. 2. აკაკი წერეთლის პოეტური ქმნილება. 3. რა გაურითმა ზვიადმა სიტყვას „გეორგია“? 4. ერთ-ერთი ოპიზარი. 6. სინდისის სინონიმი სულხან-საბას ლექსიკონში. 8. ქალაქი ერაყში. 9. რა ჰქვია ჩოსერს, ინგლისელ მწერალს. 11. რა ჰქვია ედმონდ დანტესის მეგობარ აბატს? 12. გრიგოლ ხანძთელის თანამედროვე მეფე. 15. ნახუცრიშვილის პიესის, „ჭინჭრაქას“ პერსონაჟი. 17. ფრანგი მწერალი ჟან-ჟაკი... 18. ლანძღვის მოყვარული კაცი; 19. რა ჰქვია სკლიაროსს „თორნიკე ერისთავში“? 20. რა ჰქვია ნატუტარს პოლიკარპე კაკაბაძის პიესაში „ყვარყვარე თუთაბერი“?

გამოვიდა „ფანტაზიის“ ბიბლიოთეკის სერიით გამოცემული სუპერკროსვორდების მე-2 ბროშურა. შეიძინეთ (იაფად, შეღავათიან ფასებში)!

**პროლოგი**

ვიწყებთ მესამე განყოფილებას, ფანტაზიიდან ფანტაზიამდე უბრალოდ

კროსვორდი 2

**პოლიგლოტი**

რა ყოფილა „პაპარაცი“?! რეპორტიორებს „ვუხსენებ“ დედას! 3

**პილიგრიმი**

„თეირანის მთვარე“ – არც ერთი იყო თურქი და არც მეორე სპარსელი...

სამგზავრო კროსვორდი 4

**ფლირტი**

„სამნი სიყვარულის ნავში“

რომანი გაგრძელებებით

კროსვორდი „გული“ 5

**თავსატეხი**

აღსადგენი კროსვორდი, ნუმერვორდი, ლოგიკური ამოცანები 6

**კროსმაისტერი**

ანბანთქება

ნათესაობითი ბრუნვა

მინი(კაიფ)ვორდი 7

**კროსგიგანტი**

160 სიტყვიანი კროსვორდი

ანეკდოტის ოსტატები 8

# პ რ ო ლ ო გ ი

# ...პირველად იყო სიტყვა

## ”საჩეზე გატყოპით კმაყოფილოპას, ვიწყეპით მესამე განყოფილოპას!“

### ანუ – (კიდევ ერთხელ) გილოცავთ ახალ წელს!

ახალი წლის დადგომა რაღაც მაგიური ზემოქმედებით ხასიათდებაო ყოველ ადამიანზე – ასე გვასწავლიდა საბჭოთა იდეოლოგია და, ალბათ, ეს იყო ერთადერთი „მოძღვრება“, რაც რიგით „საბჭოელს“, სჯეროდა თუ არა, არ ალიზიანებდა მაინც... თუმცა რაღა დროის საბჭოური იდეოლოგიაა, როცა ამ ცნების მეწყვილის, „კომუნისტობის“ ხსენებაზე (უკვე) ისეთი გრძნობა ჩნდება, თითქოს ჩვენს თავს გადაგორებული ეს სისტემა, რომელიმე ინკვიზიციის თუ არა, ბატონყმობის გადავარდნის დროინდელი მოვლენა იყოს...

თუმცა ჩვენ სათქმელს გადავუხვიეთ, რადგან, მოგეხსენებათ, ნამეტნავი ფანტაზია (სამსახურეობრივი ფუნქციონალიზმის გამო) მოსვენებას არ გვაძლევს... და იმას ვამბობდით, რომ ახალი წელი, მაგიური ზემოქმედების მოვლენაა თუნდაც პრესის მუშაკთათვის და, აი, რატომ:

ა) გაზეთის ნუმერაცია მორიგი „ერთიანით“ იწყება, რაც იმას ნიშნავს, რომ (თითქოს ახალი) „ორგანო“ იშვა და შობა რომ სჯობს „იმას“ („გვარს“ არ დავასახელებთ), ფაქტია!

ბ) ახალი წლიდან მიზეზი ჩნდება ახალი რუბრიკების შემოღებისა და ძველი (უნიჭო თუ უხამსი) თემატიკის. მივიწყებისა და მივიწყება რომ გარდასახვის წინაპირობაა, ფაქტია!

გ) ძველი პრესისაგან განსხვავებით, ჩვენს სასტუმროებში ჩვენ ვართ დირექტორები“ (ხაჩიკიანის თანახმად) და გაზეთს, სურვილისამებრ, თუნდ გავზრდით, თუნდ შევამცირებთ, თუნდ სახელს შევუცვლით, თუნდ სხვაზე გადავაფორმებთ და ა. შ.

ჰოდა, რაკილა ჩვენი „ფანტაზიის“ დირექტორებიც ჩვენვე გახლავართ, გადავწყვიტეთ და (მადლობა საბაზრო ეკონომიკას!) დავამტკიცეთ:

ა) გაზეთი „ფანტაზია“ გახდეს 8 გვერდიანი.

ბ) (შეძლებისდაგვარად) ჩამოშორდეს საკროსვორდო პრესის „ჯირითს“

გ) მკითხველებს მისცეს საშუალება არა „გვერდების თვალიერებისა“, არამედ ამბების გაცნობიერებისა.

დ) (შეძლებისდაგვარად) წეროს (და ბეჭდოს) მხოლოდ ის მასალები, რაც „ფანტაზიის“ ავტორების ფანტაზიაში ჩაისახება.

ე) თითოეულ კროსვორდს გააჩნდეს (რუბრიკიდან გამომდინარე) თავისი ფუნქციონალური დანიშნულება.

ვ) და ა. შ.

საკითხების ასე ჩამორაკრაკება, იცოცხლეთ, კარგი რამ არის, (ადვილი და უტოპიურია კიდეც!), მაგრამ რა არის საჭირო იმისათვის, რომ ეს განხორციელდეს?!

„მკითხველი, მკითხველი და მკითხველი!“
ჰოდა, მოდით, ვნახოთ მკითხველი,
რამ უნდა მოიზიდოს მკითხველი?
მივედ, ვნახე მკითხველი,
ნიჭიერებამ უნდა მოიზიდოს მკითხველი!

„... მერედა სადაა ეს ფარა?! (იგულისხმეთ ნიჭიერება, რადგან ნორმალურ საზოგადოებაში ნიჭიერება ყოველთვის ფასდება „ფარით“).

„... მერედა სადაა ეს ფარა?!“ (იგულისხმეთ ნორმალური საზოგადოება, რადგან გონიერი ადამიანები ყოველთვის პატიოსანი გზებით ცდილობენ „ფარის“ შოვნას)

„... მერედა სადაა ეს ფარა?!“
(ვითომ), კასპში ერთ დიდ კლდეში ძევსა“ (?!).
სტოპ! (გადავაბრუნოთ ფირფიტა).
ჰოდა, იმას ვამბობდით:

- პირობას გაძლევთ, რომ უახლოეს ხანში (თქვენი მხარდაჭერის კვალობაზე) გაზეთი „ფანტაზია“

გახდება 16 გვერდიანი,
გახდება ყოველკვირეული,
გახდება ფერადი,
(... ოცნების მსგავსად, არც ფანტაზიას მოუკლავს კაცი...)
და, რაც მთავარია:

გაზეთ „ფანტაზიას“ და მის შემქმნელებს გააჩნიათ ერთი ოდინდელი და სანუკვარი სურვილი, რაც, სამწუხაროდ, რვა საუკუნის წინ სხვამ გამოთქვა ლექსად („სამწუხაროდ“ იმიტომ, რომ ჩვენ დაგვასწრო):

„სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა“.

... და იმისათვის, რომ კიდევ არ დაგვასწროს. ვინმე სხვამ და ჩვენი სათქმელი მან არ თქვას, მოგახსენებთ (ლექსად!):

„რაც რამ ქვეყნად მახეა და გალია და ყაფაზია,
რაც რამ აზრის შესაქმნელად მოქაჩული ნაფაზია,
რაც რამ ოსი, ღლიღვი, ქისტი, ძურძუკი და აფხაზია,
ყველას უნდა მიმოედოს (ყოფ. „კროს“, დღეს კი) „ფანტაზია“!

**P.S.**

*ბოდიშს ვიხდით, თუ ამ „საპროლოგო“ წერილმა ვაღიზიანების მაგვარი გრძნობა შეა თქვენში... ზედმეტი ორიგინალობისა გამო და ბოლოს:*

*(კალამი თავისით განაგრძობს წერას)*

*„ღმერთი იყოს თქვენი მფარველი“.*

# ფანტაზიიდან ფანტაზიამდე

### 1 იანვარი, 1997 წელი

მორიგი „დემოკრატიული“ წელი (ტელელამისთევის შემდეგ) ჭეშმარიტად „დემოკრატიული“ სხარტულათი დაიწყო:

— რით განსხვავდება კარგი მდივანი ქალი ძალიან კარგი მდივანი ქალისაგან?

— „კარგი მდივანი ქალი“ ამბობს — „დილა მშვიდობისა, შეფ!“, — „ძალიან კარგმა მდივანმა ქალმა“ კი უნდა თქვას — „უკვე დილაა, შეფ!“

ჰოდა, ჩვენც ამას ვამბობთ:

უკვე დროა (დილაა), ბატონებო, ადამიანური ცხოვრება დავიწყოთ!

### 2 იანვარი, (ისევ) 1997 წელი

... აკი მოგახსენეთ, ტელევიზორთან ვათიეთ-მეთქი ღამე. და, ჩვენი აზრით, ძალზედ



ლამაზი და ამასთანავე ნოსტალგიური საახალწლო პროგრამა (სხვები იტყვიან „შოუ“) ვიხილეთ რუსეთის ტელევიზიით, ჩვენს, ქართულ ტელევიზიაში კი (მგონი) ბატონ ალ. ჭინჭარაულს ასეთი ანეკდოტით უცინებია საახალწლო ღამის მეხრეები:

ინსპექტორმა (ნაიკითხე — საგზაო პოლიციელმა) მანქანა გააჩერა და შემოწმება დაუწყო მძღოლსაც, საბუთებსაც, საბურავებსაც, საბარგულსაც, სალონსაც, ძრავასაც, საქარე მინასაც და, ვერაფერში წუნი და უკანონობა რომ ვერ აღმოაჩინა, მძღოლს უთხრა:

— მაგნიტოფონი გაქვს?

— მაქვს!

— მიდი ერთი, შალახო დაუკარი, მე ვიცეკვებ და „შაბაშს“ მაინც მომცემო...

**ჩვენი კომენტარი:**

აი, უკვე გვჯერა, რომ ჩვენში სიტყვის თავისუფლებაა!

### 3 იანვარი, (კვლავაც) 1997 წელი.

კოლმეურნეობის მოედანზე...

(პუბლიცისტური პაუზა)

არ ვიცით თუ არ გვსმენია და ამიტომაც ვსვამთ კითხვას: რატომ არ შეეცვალა სახელი „კოლმეურნეობის მოედანს“?

კოლმეურნეობის მოედანზე... ჩემი თვალით ვიხილე, ერთი მაღაზიის ფირნიშზე ეწერა (და ისევ წერია):

„მხიარული ფასები“

... თუ არ გჯერათ, გაიარეთ და ნახეთ!

### 4 იანვარი, (და მაინც) 1997 წელი

ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე მივდივართ, უცებ ასეთი რეპლიკა ისმის:

„— კარგი ქაღალდია, ქალბატონო, და, რაც მთავარია, პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას!“

... ვიხედებით და ვხედავთ: გამყიდველი კაცი ტუალეტის ქაღალდს სთავაზობს (თვალში საცემი „გაბარიტების“ მქონე) ქალბატონს...

**ჩვენი დანართი:**

ნამდვილად სამწუხარო იქნებოდა, რომ ასეთ ქალბატონთან თუნდაც „ქაღალდმა“ არ შეასრულოს თავისი მოვალეობა...

პირნათლად!

### 5 იანვარი, (გრძელდება) 1997 წელი

კვირა დღეს თავს უფლება მივეცით და ადრე ნაყიდ-წაუკითხავი გაზეთები გადავათვალიერეთ (ლაპარაკია რუსულ პრესაზე).

პირველივე გადაფურცვლაზე ვკითხულობთ გაოცებულ სათაურს:

„მესამე სართულზე ფეხით?!
— საფრანგეთში“

(ჯანდაბას, ლეკებისა არ იყოს, ფრანგების თავიც!)

... სადღაც კუნჭულში ვინმე ნ. კ. კრასნოდარის მხარიდან ეკითხება გაზეთს:

„ჩემს 17 წლის ქალიშვილს ჩვევად ექცა, რომ გვიანობამდე თივის ზვინში იგორაოს მეზობლის ბიჭთან ერთად. რა ვქნა?“

**გაზეთის პასუხი:**

„ნუ ნაღვლობთ, თქვენს თივას არაფერი დაუშავდება!“

### 6 იანვარი, (დიახ, ბატონო) 1997 წელი

ჩვენი გაზეთის დამატების, (ძალად) გაზეთის „საპოვნელას“ პირველი ნომერი „მივუშვით ნებაზე“ (ე.ი. „მადლიერი მკითხველების გულებამდე მივიტანეთ“) და სახლში რომ ვბრუნდებოდით, მეტროპოლიტენის გადაჭედილ ვაგონში „რბილი“ მეტყველება შემოგვესმა:

— თუ იცი, რა დამემართა დღეს?

— ?!?

— ვაგონში სადგურებს არ აცხადებდნენ და „ისნის“ ნაცვლად „ვარკეთილში“ ჩამოვედი...

— მერე?!

— მერე ისევლე იმ უდიქტორო ვაგონში მოვხვდი და „ახმეტელის თეატრამდე“ ველოდი „ისანის“ გამოცხადებას...

— აუჰ, შე საცოდავო?!

**გაზეთი „ფანტაზია“ გეკითხებათ:**

რა არის ეს უმსგავსოება?!

— რატომ არ დადიან „დიქტორები“ სამსახურში?!

### 7 იანვარი, (ნამდვილად) 1997 წელი

გილოცავთ ჩვენს, ნამდვილ, მართლმადიდებლურ შობას!

... წავედით კომპიუტერულ ცენტრში თქვენს ხელთ არსებული პირველი ნომერი „ფანტაზიის“ ასაწყობად...

## გამამხნევებელი რეპლიკა

გაზეთ „ფანტაზიის“ ერთ-ერთი ავტორი (თქვენთვის ეს სულერთია, თუ რომელი!) „ცაცია“ გახლავთ, რაც მას ხშირად დისკომფორტს უქმნის „მემარჯვენედ“ ჩამოყალიბებულ საზოგადოებაში. ამიტომაც ძალზედ გაგვიხარდა, როცა ერთ ბეჭდვით ორგანოში წავაწყდით მსოფლიოს გენიალური „ცაციების“ სიას.

აი, ვინ წერდა თურმე მარცხენა ხელით:

ლეონარდო და ვინჩი
მიქელანჯელო
პიკასო
ჩარლი ჩაპლინი
ალბერტ აინშტაინი
მოცარტი
ბეთჰოვენი
აბრაამ ლინკოლნი
სერგეი ეიზენშტეინი
მერილინ მონრო.

ისე, კაცმა რომ თქვას, რა მნიშვნელობა აქვს ვინმესთვის — სიტყვა მარცხენა ხელით დაიწერება თუ მარჯვენათი?!

— მთავარია, ეს სიტყვა გონიერების ნაყოფი იყოს!

ასე რომ:

როგორც გინდა, ისე წერე,
იყოს თუნდაც „ცაცია“,
როგორც ხედავ, „ცაციებში“
ყველა კარგი კაცია!




**✱ თარაზულად:** 3. რუკის (და მისთანათა) მისამაგრებელი საშუალება კედელზე (და მისთანებზე). 5. ტახტის მემკვიდრე ევროპაში. 7. კონსტანტინე არსაკიძის როლის შემსრულებელთან ყველაზე „ახლოს მდგომი“ ცხოველი. 8. კახეთის სარკინიგზო „ცენტრი“. 9. იტალიელი კინოკომიკოსი, ალბერტო... 10. კონსტანტინე გამსახურდიას მიერ გადაკეთებულ-შეთხზული ქალის სახელი. 12. ნიმუში ზომა-წონის ერთეულებისათვის. 14. საგაზეთო (მუდმივი) „სათაური“. 16. (კაიფვორდის პრინციპით) რეჟისორ ლორთქიფანიძის „მიმდევარი“. 20. შავიზღვისპირა კურორტი თურქეთში. 21. ორმოცი წლის იუბილარი ყოველი ჩვენთაგანის ოჯახში. 22. რა გვარია კონსტანცა, დ'არტანიანის სატრფო? 25. კომპოზიტორის ქმნილებათა რიგითი ნომერი. 28. უსინათლო (ძველ) ბერძენის პოემა. 31. (კიდევ ერთი) პოემა უსინათლო (ძველ) ბერძენისა. 33. ურალში მდებარე რესპუბლიკის დედაქალაქი. 35. გადასატანი რადიოსადგური. 37. ყულის დაავადება. 38. ძველთბილისელი ქალების დასარტყმელი ინსტრუმენტი. 39. ბებერი მუხა. 40. ქალაქი შოტლანდიაში. 41. ამა თუ იმ ენის სპეციალისტი.

**✱ შვეულად:** 1. კარლო გოცის ზღაპრისეული პრინცესა. 2. ცენტრ. ამერიკის სახელმწიფო. 3. მეთევზის დამხმარე არსება. 4. ჩაიკოვსკის ოპერა. 6. ქართლის ერისთავი VIII საუკუნეში. 9. ფრანგი მწერალი, ჟან-პოლ... 1964 წელს უარი თქვა ნობელის პრემიაზე. 11. დროებითი მეფე ან მმართველი. 12. ღვთისმსახურებისათვის განკუთვნილი შენობა. 13. აშშ-ს შტატი („საკროსვორდო“ აგებულების გამო ხშირად გვიხდება გამოყენება). 15. როგორია კომერციული დანიშნულების მხატვრული ქმნილება? 17. დიდი მოურავის სოფელი. 18. (ქალბატონი) ხაფავა, ქართველი მსახიობი. 19. ბრაჰმანიზმის და ინდუიზმის უმთავრესი ღვთაება. 23. „სამკერდე“ ჯილდოები (მრ. რ.) 24. შეძენილი „დაიკო“ (ისე მაგათ რა ვუთხრა!). 26. იტალიური მიდრეკილების საზ. კვების ობიექტი. 27. ერთ წლამდე ბავშვის მთავარი შესასწავლი „დისციპლინა“. 29. ზედა, დათბილული სამოსი. 30. არზაყან ზვამბაიას ცხენი „მთვარის მოტაცებიდან“. 32. პირველქმნილი ორიგინალი. 34. ფრანგი მწერალი, ანატოლ... 1921 წ. მიენიჭა ნობელის პრემია. 36. მღრღნელი, რომელსაც ხშირად ბორბალში სვამენ.

# ...შემდეგ იყო ენების ცოდნა

# პოლიგლოტი

„პოლიგლოტი“, მოგეხსენებათ, მრავალი ენის ცოდნას (ან მცოდნეს) გულისხმობს... ენების ცოდნა კი თავისთავად ზეპირ თუ წერილობით თარგმანთანაა დაკავშირებული... და, აი, ამიტომაც ვთარგმნეთ რუსული ენიდან ეს ლექსი, რომელიც საკმაოდ პრობლემატურ საკითხს ეხება, თუმცა გაზ. „ფანტაზია“ და მთარგმნელი მხოლოდ თარგმანის სიზუსტეზე აგებენ პასუხს და სრულიად არ სურთ, რომ ლექსში ნახსენებ რეპორტიორთა ქართველმა „კოლეგებმა“ პირად შეურაცხყოფად აღიქვან ლანძღვით გაჯერებული ეს „შედევრი“.

მაშ, გთხოვთ, თარგმანი შეადაროთ ორიგინალს... ჩვენი მიზანი მხოლოდ ეს არის.

(... და უკვე ისმის რეპლიკები — ლერმონტოვი გეთარგმნა, შე კაი კაცო, არ ჯობდაო?!“)

... ლერმონტოვი იხილეთ მე-5 გვერდზე!

## КОМУ БЫ Я ОТРЕЗАЛ РУКИ

### СТРАШИЛКИ

Читаю хронику в газете:
"Маньяк прокрался в детский сад.
Муж утопил жену в клозете.
Отец ребенка трахнул в зад.
Прогнивший труп нашли в помойке.
Труп без ушей нашли в лесу.
Вампир замечен был на стройке.
Крыс запекают в колбасу.
Старуха сдохла с перепою.
Студент повесился с тоски.
Садист стамескою тупою
Оттяпал женщине соски".
И пробегая мутным взором
Печальный ряд смертей и драк,
Я мыслил: с этом репортером
Я разобрался бы не так.
Чтоб он не смел чужие муки
С усмешкой кислой смаковать,
Ему бы я отрезал руки
И сунул в зад, едрена мать.
Ему бы я отрезал уши
Пускай он ходит без ушей,
Не смея в предь калечить души
Позорной хроникой своей;
Тогда безрукий и безухий
И присмиревший как мертвец,
Поток порнухи и чернухи
Он остановит наконец.

***МИХАИЛ УДИЩЁВ***
*"Собеседник"*

## ვის უნდა მოვჭრა ორივე ხელი

### საშინელებები

გავშლი გაზეთს და ვკითხულობ დილით:
„მანიაკს შეხვდნენ ბავშვთა ბაგაში.
მამამ სექს-ეინი დაიცხრო შვილით.
ქმარმა ჩაახრჩო ცოლი ნაგავში.
გვამით აყროლდა დღეს ზღვის ნაპირი.
ყურმოჭრილ გვამზე ეყარა ნეხვი.
მშენებლობაზე ნახეს ვამპირი.
ვირთხის ხორცისგან მზადდება ძეხვი.
სტუდენტი მოკვდა ზედმეტი ფიქრით.
ღვინომ გაგუდა ვიღაც ბებია.
გოგონას მკერდის ჭრითა და ჩიჩქნით
ერთ სადისტს ღამე უთენებია“.
და რომ ვეცნობი ამ ხოცვაჟლეტას,
და რომ ვაყოლებ სტრიქონებს თვალებს,
რეპორტიორებს „ვუხსენებ“ დედას.
და სულ ასეთი აზრი მაწვალებს:
ვინც არის ამგვარ ამბავთა მთხზველი,
ვინც ეს დაწერა, ან დაწერს ასე,
მინდა, მოვაჭრა ორივე ხელი
და უკანალში შევტენო მასვე.
მინდა, მოვაჭრა ორივე ყური,
მინდა, რომ სადმე განზე იაროს,
რომ მან თავისი ბოლმა და შური
ველარასოდეს გაგვიზიაროს.
რომ მას, უხელოს, რომ მას, უყუროს,
პორნომანიის თითხნა ეკმაროს,
რომ ამ სიბილწეს თავად უყუროს,
გაზეთს კი ახლოს არ გაეკაროს.

*თარგმნა* **ალ. ელერდაშვილმა**



# თ უ რ მ ე . . .

უკანასკნელ ხანს რუსულ თუ უცხოურ პრესაში ხშირად მოიხსენიება სიტყვა „პაპარაცი“, რაც, პუბლიკაციების შინაარსიდან გამომდინარე, ცნობილ პიროვნებათა ინტიმურ ყოფაზე მონადირე ფოტოგრაფების სინონიმად გამოიყენება. მართალი გითხრათ, არსად გვიძებნია ამ სიტყვის წარმომავლობითი ფესვები, ინტერესით კი ყოველთვის ვიყავით განმსჭვალულნი ამ ცნების მიმართ.

... და, აი, თურმე:

„1959 წელს, რომში, ფელინის




ფილმის, „ტკბილი ცხოვრების“ გადაღება რომ მიმდინარეობდა, „საკბილოს“ მაძებარი მოტოციკლისტები მსახიობ ანიტა ეკბორგის გარშემო ტრიალებდნენ და, როგორც ავტომატის ჯერი, ისე აბრმავებდნენ ფოტოგანათებებით მსახიობს სასტუმროდან თუ ღამის კლუბიდან გამოსვლისას. ამ ფოტოგრაფებს ფელინი ზიზღითა და დაცინვით „პაპარაცის“ ეძახდა, რაც მისი (ფელინის) ნეაპოლელი თანაკლასელის, ვინმე პაპარაცის გვარი გახლავთ. ეს პაპარაცი კი თურმე საოცრად თავხედი და თამამი პიროვნება ყოფილა...

(სპიდ-ინფო, № 1, 1997)

აი, ბატონო, თურმე როგორაა შესაძლებელი ერთმა (ფანტაზიორმა) გენიოსმა (ფელინიმ), ვინმე არარაობის გვარი განზოგადოებულ, მსოფლიო მასშტაბის ცნებად აქციოს.

## ახალი ცნებები ამერიკულ ინგლისურში

... თუ ადამიანს ნერვებმა უმტყუნეს და თავის კოლეგებს ყვირილი დაუწყო, ასეთ მყვირალას თანამშრომლები ახლა „ფოსტაში წასულს“ ეძახიან...

რატომ?

იმიტომ, რომ უკანასკნელ წლებში აშშ-ში რატომღაც ძალზედ გახშირდა საფოსტო უწყებებში მკლელობები, რაც ამ უწყების თანამშრომელთა შორის არსებული უთანხმოებით არის გამოწვეული.

... ამერიკელთა შორის გაჩნდა კიდევ ერთი ახალი გამოთქმა, რაც დაახლოებით ასე ჟღერს: „ტახტის თაგუნია“, რაც სახლში გამოკეტილი, არაკომუნიკაბელური ადამიანის სინონიმი გახლავთ.

ინგლისურ ენაში ცნობილია იდიომა — „ტახტის კარტოფილი“ — და სწორედ ამის ანალოგიურად შეიქმნა „ტახტის თაგუნიაც“, რაც, ლინგვისტების აზრით, კომპიუტერის „თაგუნიასთან“ („მაუსთან“) არის დაკავშირებული.

... თუ ამერიკელ მამაკაცს ცოლის მიმართ ფიზიკური შეურაცხყოფის გამოვლინება სჩვევია, იგი ცოლს კი არ სცემს, არამედ „ო-ჯეის“ უკეთებს...

და, აი, რატომ:

უკანასკნელ ხანს მთელი ამერიკა სულმოუთქმელად ადევნებდა თვალს სპორტსმენის და კინომსახიობის ო ჯეი სიმპსონის სასამართლო პროცესს, რომელიც იხილავდა მეუღლის მკვლელობაში ეჭვმიტანილი ო ჯეის საქმეს...

... ხშირად ახალ სიტყვებს რომელიმე პოლიტიკური მოღვაწის იმპოზანტური აზროვნება წარმოშობს ხოლმე; ასე მაგალითად: აშშ-ს კონგრესის სპიკერის ნიუტ გინგრიჩის არაორდინალურმა შეხედულებებმა განაპირობეს „ნეიტრონის“ ნაცვლად „ნიუტრონის“ ბომბის ;„არსებობა“.

... ჩიკაგოში ჩატარებულ სპეციალურ კონფერენციაზე ითქვა, რომ ამერიკულ ინგლისურში ყოველწლიურად 10-20 ათასი ნეოლოგიზმი იქმნება, რომელთაგან 100 ან 200 თუ რჩება საბოლოოდ ყოფაცხოვრებაში „სახმარად“.

## უცხოური ანეკდოტი

არაბი თავის ქალიშვილთან ერთად, აქლემზე ამხედრებული, უდაბნოში გზას დასდგომია. უცებ მათ ყაჩაღები დაესხნენ თავს.

— სად დავმალოთ ოქროული და განძი, ჩემო გოგონა?

— მამიკო, მე მათ დავმალავ იქ, სადაც შეუძლია დამალოს მხოლოდ ქალმა.

ყაჩაღები მოვარდნენ, გაჩხრიკეს მამა-შვილი, წაართვეს აქლემი და გაქუსლეს...

— მამიკო, რატომ მოიწყინე? ყაჩაღებმა ხომ ვერ იპოვეს ჩვენი ოქრო და ფული?

— ეჰ, ჩემო გოგონა... დედაშენი ჩვენთან ერთად რომ ყოფილიყო, ჩვენ აქლემის დამალვასაც შევძლებდით...

# Аджапсандали

**В грузинской прессе такого рода кроссворды называют "твинхвретвордами", а мы его зовем несколько иначе, - "Аджапсандали"... вот так вот!**

**... восстановите первоначальный облик этих слов... Гэнацвалэ!**

***СЛЕВА НАПРАВО:***

9. Негрината. 10. Сикситан. 11. Диспа. 13. Оринтигр. 14. Коровога. 15. Ворду. 16. Верснак. 18. Натиети. 19. Горелияла. 20. Магдо. 23. Куска. 25. Оририта. 26. Тресван. 30. Охмах. 32. Ветто. 34. Ябласмеса. 36. Стирпро. 37. Кироций. 38. Натас. 40. Ципуната. 41. Дарконко. 42. Турта. 43. Ягнинилопи. 44. Сорсепция.

***СВЕРХУ ВНИЗ:***

1. Торпекрор. 2. Геймгриб. 3. Сорнато. 4. Нанда. 5. Вдови. 6. Форията. 7. Князвоск. 8. Кесдикато. 12. Герепий. 17. Пильснати. 18. Муртивецо. 21. Хорго. 22. Араго. 23. Датос. 24. Вутас. 27. Суомокров. 28. Нимсера. 29. Яцимадети. 31. Армингар. 35. Чинация. 34. Яицадис. 33. Строцкит. 38. Тасри. 39. Руака.



**პილიგრიმი** *...შემდეგ იყო გზა*

# „თეირანის მთვარე“

აღმოსავლეთის ქვეყნებში რატომღაც მთვარის „კულტია“ დამკვიდრებული?! მთვარე სინაზის, სინარნარის, სიმშვიდისა და ნებიერების მქონე „პერსონაჟია“ არაბულ-სპარსულ-თურქულ აზროვნებაში! — და ეს არცაა გასაკვირი: აბა, მზეს ხომ არ დაუწყებდნენ ტრფიალს მისი თაკარა სხივებისაგან გაწამებული აღმოსავლელები?!

მთვარე შვებაა!... იდუმალება და ფიქრიცაა მთვარე! თეირანში კი იმ დღეებში საადისა და ჰაფეზის ხოტბაშესხმული მთვარე ეკიდა ვარსკვლავიერ ცაზე .და ჩემგანაც ლექსს ითხოვდა, მაგრამ... ახლა ერთი ამბავი მინდა მოგითხროთ, რასაც სასტუმრო „მინას“ ვესტიბიულში შევესწარი, და პატარა ფილოსოფიურ-პუბლიცისტური ჩანახატიც დავურთო ზედ.

მთვარე და ლექსები კი სხვა დროისთვის შემოვინახოთ, ან ეგებ წერილის დასასრულისათვის მოვიმარაგოთ და, თუ გუნება-განწყობილება შემოგვრჩა, ჩამოვარაკრაკოთ კიდეც...

ნიზამი განჯელმა ლეილისა და მაჯნუნის სევდიანი ამბავი გვიამბო; თავადაც იტირა და კინაღამ ჩვენც აგვატირა.

უილიამ შექსპირმა რომეოსა და ჯულიეტას თავზარდამცემი სიცოცხლითა და სიკვდილით გული გვატკინა...

მაგრამ არ არსებობს ჩემთვის იმ სევდაზე უმეტესი სევდიანობა, რასაც კონდრატე თათარაშვილის (უიარაღოს) „მამლუქის“ გახსენებისას განვიცდი ხოლმე და ეს ერთი ფრაზის თითქმის მაგიური ზემოქმედების გამოისობით ხდება; ანუ:

„... არც ერთი იყო ვენეციელი და არც მეორე — ეგვიპტელი... ორივე ბედკრული საქართველოს შვილები იყვნენ“!-ო...

ყრუ, მაგრამ შემზარავი ტკივილია ეს!

***

... სასტუმრო „მინა“ კი თეირანის ცენტრშია, ყოფილი რუზველტის ქუჩაზე. ეს მყუდრო, კოხტა სასტუმრო იყო, ალბათ, ოდესღაც, ახლა კი ამიერ თუ იმიერ კავკასიელთა ქარვასლადაა ქცეული. ვიღას არ ნახავთ აქ?! — სომეხი და აზერბაიჯანელი გვერდიგვერდ ჩხიბავენ „ტავარს“, ქართველი „ბიზნესმენები“ ოსებთან და ჩეჩნებთან ერთად. „ლალე-ზარის“ ეკონომიკურ პოტენციალს იხილავენ, ბოხოხიანი დაღესტნელები — „ბრატიშკაო“ — მოსძახიან ქურთებს და ყოველივე ამას შაჰ-აბასის თვალებიანი სასტუმროს მეპატრონე გადმოჰყურებს აივნიდან...

ერთ საღამოს ფოიეში ვიჯექი და რომელიღაც თბილისური ტურისტული ფირმის პრეზიდენტს ვესაუბრებოდი: ისინი თურქეთის შემოვლით ჩამოსულიყვნენ ირანში „ართვინექსპრესის“ ავტობუსით, და, ბუნებრივია, მძღოლიც თურქი ჰყავდათ — სეფერ იალჩი!

... ჰო, ისიც დამავიწყდა მეთქვა, რომ სასტუმროს წინ, შინ თუ გარეთ, ხშირად შეხვდებოდით ფერეიდნელ (ან უკვე თეირანელ) ქართველებსაც...

საშოპტურო საუბარი რომ დავასრულე, ჩემს ახლადგაცნობილ ფერეიდნელ ქართველს, არსენა გოგიჩაშვილს (იგივე ჰასან ქარიმს) მივესალმე და ახლა იგი მოვიწვიე სამასლაათოდ... არსენა ოციოდე წლის ბიჭია, ქართულს გაჭირვებით ეუფლება, მაგრამ ამ გაჭირვებას მშობლიური ენის შესწავლის სითბო და სიამაყე უქარწყლებს! არსენამ ასეთი კურიოზი მიამბო:

„ქართველები პირველად რო ჩამოიდნენ, ერთი დედაკაცი თეჰრან ბაზარჩი ჩავიყვანე... გზაში იმ ქალს ვთქი — სახლჩი ძროხა გყავთ და „ჰოვო“ ფასოხი მამცა, ძაღლი გყავთო და „ჰოვო-შვილო“, ცხორი-მეთქი? — და აქაც „ჰოვო“ თაბასომი (ლიმილი — ავტ) მიქნა; მერე ქართული კარქათ რო არ ვიცოდი — ბოზი არი-მეთქი თქვენი სახლჩი — ვუთხარი და ი დედაკაცმა თავჩი ჩანთა ჩამარტყა...“

არსენამ ამბის დასრულება სცადა, მაგრამ მიხვდა, რომ აღარ იყო საჭირო, რადგან მე კურიოზის „მარილი“ გავიგე და გულიანად ვიცინოდი... საქმე იმაშია, რომ არსენას სურდა იმ დედაკაცისთვის ეკითხა — თხა თუ არისო თქვენს სახლში და სიტყვა „ბოზი“ ამიტომაც იხმარა... („ბოზი“ სწორედ თხას ჰქვა სპარსულად). ამ ამბავს იქვე მჯდომი ართვინელი თურქი სეფერ იალჩიც ისმენდა და მანაც გადაიხარხარა (?!)

რაღა ბევრი გავაგრძელო და ჩვენს საუბარს ის თურქიც შემოუერთდა, რადგან იგი სულხან გოგიტიძე აღმოჩნდა!

ბევრი რამ მინახავს ცხოვრებაში, მრავალ სენტიმენტალურ სცენას შევსწრებივარ, მაგრამ მსგავსი რამ არასოდეს განმიცდია:

ჰასან ქარიმი და სეფერ იალჩი ქართულ ენაზე გამოელაპარაკნენ ერთმანეთს!... ცდილობდნენ და ახერხებდნენ, რომ თურქული და სპარსული სიტყვების გარეშე ვთქვათ თავისი სათქმელი და მე არსად მსმენია ამაზე კარგი და ანკარა ქართული!

პაუზა (ისევ „მამლუქი“ გავიხსენოთ!).

***

ამ მცირე პაუზის შემდეგ ორიოდე სიტყვა მინდა ვთქვა იმ სამყაროს შესახებ, რასაც დღეს ახლო აღმოსავლეთი ჰქვია, ოდესღაც კი „სათათრეთი“ ერქვა:

... ჩემი ბავშვობა ერთხელ, ქეთევან დედოფლის შემზარავი წამების გაგების შემდეგ, საშინელი სიძულვილით აღივსო იმ „სათათრეთის“ მიმართ: ჯალალედინებმა და თემურ-ლენგებმა ხომ ჩემი პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესში მთლად ამათვალწუნებინეს მუსლიმანური სამყარო. ლიტერატურა, კინო თუ თეატრი გააფთრებულ პროპაგანდას ეწეოდა საიმისოდ, რომ მე-20 საუკუნის ქართველებს არ დაევიწყებინათ ის მტარვალი და სისხლიმსხმელი მურვან ყრუ თუ აღა-მაჰმად ხანი... მე ყოველთვის ვეთანხმებოდი და ვეთანხმები ჩვენი ისტორიის ამგვარ წარმოჩენას, მაგრამ დღესდღეობით ერთი ეჭვი გამიჩნდა და, რა ვქნა, უნდა მოგახსენოთ:

ვის სჭირდებოდა ასეთი მძაფრი და აქტიური ანტიაღმოსავლური კრიტიკა მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში? ყველა სივაგლახე ხომ დიდი ხნის მოშუშებული იყო და საზღვრებიც მაგრად იყო ჩაკეტილი იქით?! მაშ, ვის რისი ეშინოდა? სპეციალური ლიტერატურის გარდა, რატომ არ იყო რომელიმე სახელმძღვანელოში ნათქვამი, რომ, ნგრევისა და გაპარტახების გარდა, აღმოსავლეთიდან მრავალი აუცილებელი სიკეთეც მოდიოდა?! (და ჩვენ ამ უზარმაზარი და უგანათლებულესი სამყაროს ინტელექტუალური პოტენციალის გარეშე სათქმელის თქმა და საქმნელის ქმნა გაგვიჭირდებოდა).

პასუხი ერთადერთია: მტრული აღმოსავლეთის ხატს ცარისტულ-კომუნისტური რუსეთი და მისი იდეოლოგია ქმნიდა ერთი მარტივი მიზეზის გამო: ჩვენ მარად და ყველგან რუსეთის მადევარი უნდა ვყოფილიყავით და არასოდეს გაგვეხსენებინა ახლო მეზობლები!

... თუმცა ეს ვრცელი საუბრის თემაა და, ჩემი აზრით, ერთმნიშვნელოვანი შეხედულება არასოდეს შეიქმნება ამ საკითხთან დაკავშირებით ქართველთა შორის...

***

თითქმის მთელი რუსეთი მოვლილი მაქვს და იქ მთვარე არასოდეს მინახავს... საქართველოში ამ მნათობის საჭვრეტად არ მცალია... თეირანში კი ყოველდღე მას ვუმზერდი და, ღმერთმა იცის, ვისზე და რაზე ვფიქრობდი?! დარწმუნებული კი ვარ, ქვეცნობიერად ომარ ხაიანის რობაი მახსენდებოდა:

**რადგან სამყაროს ვერ შევიცნობთ მხოლოდ ფიქრებით,**
**რადგანაც ვიწვით... სანთლებივით რადგან მივქრებით,**
**მთვარის ამოსვლით დღეს ვიხაროთ, რადგან ეს მთვარე**
**მუდამ იქნება, ჩვენ კი განა მუდამ ვიქნებით?!**



## რა არის «პილიგრიმი»?

**გასულ ნომერში აღვნიშნეთ, რომ ჩვენ თბილისში გამომავალი გაზეთი „პილიგრამის“ რედაქტორი გახლდით, ჰოდა, ჩვენი მთავარი პრობლემა ის გახლდათ, რომ ქართული სინამდვილის (სამწუხაროდ!) 80-90-მა პროცენტმა არ იცოდა, თუ რას ნიშნავს „პილიგრიმი“, განვმარტავთ: ეს გახლავთ იტალიური „პელერინო“ (ინგლ. „ფილგრიმ“) და ნიშნავს მოხეტიალეს, მოგზაურს, მომლოცველს... ჩვენ კი, გვახსოვს, ხან „პოლიგრამს“ გვიწოდებდნენ, ხან „პილიგრამს“, ხან „პოლიგრიმს“... ერთხელ ადრინდელი უზენაესი საბჭოს (თუ პარლამენტის) საშვის მიღებისას ფრიად პოლიტიზირებულმა „ოსობამ“ გვკითხა — „პოლიგრიმი რა არისო?“ „რა არის და... პოლიტიკური ნიღაბია (გრიმი)-მეთქი!“ — ვუპასუხეთ, „ჰოო... მაშ, საშვი გეკუთვნით, რახან პოლიტიკური გაზეთიაო!“**

**...ამ რუბრიკით ჩვენ გვსურს სამოგზაურო ხასიათის წერილები გამოვაქვეყნოთ...**




# სამგზავრო კროსვორდი

*...დასაშვებია თვითმფრინავში, მატარებელში, ავტობუსში, ან სულაც მეტროპოლიტენში შევსება...*

*... იმოგზაურეთ ბატონებო!*

*... მეტი ფანტაზია „ფანტაზიასთან“ ერთად!*

✱ **თარაზულად:** 4. თოვლის ერთული თოვლადქცევამდე; 7. ქართველი მსახიობი, ბადრი... 10. იგივეა, რაც „შთაგონება“ ესპანელთათვის... (გაიხსენეთ გარსია ლორკა!); 11. რომელი ქვეყნის დედაქალაქია ნიამეი? 13. იგივეა, რაც ქვეშაგები, არსებობს გასაბერიც ტურისტებისათვის... სამგზავროდ; 15. პატარა სონატა; 17. ქართველი მოჭადრაკე ქალი; 19. ფიროსმანის პარიზელი კოლეგა, ამედეო... 20. ვაშინგტონის ხუთკუთხა შენობა; 22. ჩეხეთის ყოფილი მეორე ნახევარი (ძველი ფორმა); 25. თანამედროვე რუსი მსახიობი, სტანისლავი; 27. შიშის შორისდებული; 28. კბილის შემდეგდროინდელი დანამატი; 29. რელიეფის ნაწილი (კნინობითი სუფიქსით); 30. დაახლოებით იგივეა, რაც „მოდავე“ ან „მოპაექრე“ (არაქართულად); 31. მაღალსასულიერო პირთა წოდება კათოლიკურ და პროტესტანტულ ეკლესიაში.

✱ **შვეულად:** 1. შუასაუკუნეების მოგზაურთა ხომალდი; 2. ძლიერი მომწამლავი ნივთიერება; 3. ყოფ. იუგოსლავიის რესპუბლიკა; 5. დიდი შოტლანდიელი პოეტი; 6. ილია ჭავჭავაძის ლექსი; 8. დიდი ქართველი პოეტი; 9. ქალაქი თეთრი ზღვის პირას; 12. სათვალის სახეობა; 14. გასეირნება ქალაქგარეთ; 16. ჰაერის მასის გადაადგილება; 18. მიწის გადასახადი (გახსოვთ პოლიტეკონომია?!); 21. იგივეა, რაც დანაშაული; 23. შენობის ზემოთა ნაწილების შემაერთებელ-გადამხურავი ნაგებობა; 24. საავიაციო საქმის სპეციალისტი; 25. რკალსა და ქორდას შორის მოქცეული ნაწილი წრისა; 26. საყველედ რძის შემადედებელი მასალა.

...შემდეგ მოვიდა სიყვარული

# «სამნი სიყვარულის ნავში»

(ყოფილი მასწავლებლის მემუარები)

... თუმცა მემუარები არც შეიძლება დაერქვას თავგადასავალს იმ გოგონასი, რომელიც ჩემი მოსწავლე გახლდათ ამ ათი-თორმეტი წლის წინ...

ყოფილი მასწავლებელი გახლავართ-მეთქი, ამის თქმას ვაპირებდი, მაგრამ სჯობს იმით დავიწყოთ, რამაც ამ



ამბის გახსენება და, რაც მთავარია, აღწერა მომასურვა:

ამასწინათ თითქმის ერთსაათიანი მგზავრობისათვის რომ ვემზადებოდი („ვარკეთილიდან" „ახმეტელამდე"), ერთმა ნაცნობმა ე. წ. ბესტსელერი მომაჩეჩა, გარეკანზე რიხით რომ ეწერა – საუკეთესო ამერიკული სატრფიალო რომანი – და ვინმე ჯოან ბრენლონის მონათხრობს რომ შეიცავდა... მართალია, ეს თხზულება დიდი ვერაფერი ილეურობით ვერ გამოირჩა, მაგრამ ჩვენი ქალაქის ორ „პოლუსს" შორის გათხრილ გვირაბებში მან ასე თუ ისე მაინც შეავსო ჩემი ცხოვრების ორიოდე საათი და, რაც მთავარია, დამარწმუნა იმაში, რომ ჩვენსა და ამერიკელებს შორის არანაირი განსხვავება არ არის... (ხომ აზრზე ხარ, არა სიმონ?!).

... ამ რომანში თითქმის ისეთივე ამბავი იყო „შეთხზული", რაც ერთ ჩემს მოსწავლე გოგონას სინამდვილეში გადახდა თავს.

## პირველი თავი

გასულ ზაფხულს, ის-ის იყო „საღამოს სეანსის" ელექტროენერგია მიეწოდა ჩვენი გარეუბნის გადაფირთებულ კორპუსებს, რომ ჩემს ბინაში ზარის ხმა გაისმა.

„– ვის გავახსენდი ამ ულიფტობისას მეთორმეტე სართულზე-მეთქი" – ესღა გავიფიქრე და კვლავ გაბმულმა ზარმა შემაწყვეტინა ფიქრი.

„– გიორგი მასწავლებელო, გამიღეთ კარი, მე ვარ... ნინო!"

ამ „მასწავლებელომ", ცოტა არ იყოს, დამაფრთხო და დამაეჭვა, რადგან, კარგა ხანია, სკოლაში აღარ ვმუშაობდი და, ჩემი აზრით, აღარც არავის უნდა ხსომებოდა ის ჩემი ხუთწლიანი პედაგოგიური კარიერა, რამაც იმედგაცრუებათა მეტი არაფერი შემატა ჩემს ცხოვრებას...

„– მე ვარ, ნინო... თქვენი სადამრიგებლოდან!" – ეს უკვე მაშინ ითქვა, გაოცებული რომ შევცქეროდი ოცდაათიოდე წლის ულამაზეს ქალს და ვერ გამერკვია, თუ ვინ შეიძლება ყოფილიყო ეს ქალბატონი... უფრო სწორად, არ მსურდა გამეცნობიერებინა ის, რომ მე, ჯერ არცთუ ასაკმიღწეულს, შეიძლებოდა ამ ხნოვანების მოსწავლე მყოლოდა...

„– მობრძანდით, ქალბატონო!"

„– მე სკოლაში ვიყავი, მაგრამ იქ მითხრეს, რომ თქვენ აღარ მუშაობთ... რომ სკოლიდან წახვედით... და... ბინის მისამართი გამოვართვი..."

„– რა ბრძანეთ, რა მქვიაო?"

„– ნინო! ნინო ბუაჩიძე... აღარ გახსოვართ?!"

„– ნინო... ნინო... – მე, რა თქმა უნდა, გამახსენდა 1985 წელი, ჩემი სადამრიგებლო მე-10 „პირველი" კლასი

– „დაჯექი, ნინო, ნინიკო... რამ გაგახსენა ჩემი თავი?!"

... დიახ, ეს იყო ის უმშვენიერესი ნინო ბუაჩიძე, რომელიც არა მარტო იმ ერთი კლასის და სკოლის, არამედ გარეუბნის ყველა სკოლის ბიჭების ტრფობის ობიექტი იყო. რაღაც ტკივილიანი რამ იყო თერთმეტი წლის წინანდელი „ცხოვრების" გაცოცხლება, რადგან დროის მსვლელობას, „დროის" გარდა, არაფერი შეემატებინა ნინოს ხელთუქმნელი მშვენებისათვის.

„– არ ვიცი, როგორ მოგმართოთ... ბატონო... გიორგი, თქვენ ჩემი საყვარელი მასწავლებელი იყავით... ჰო, ის გამოსაშვები საღამო გახსოვთ... ჩემს ბინაში... ბანკეტი რომ..."

ნინო რატომღაც აღელვებული ლაპარაკობდა და ივლისის იმ საღამოს მახსენებდა, ჩემი პირველი და ერთადერთი სადამრიგებლო კლასი სკოლის დამთავრებას რომ აღნიშნავდა ბუაჩიძეების ბინაში და ის დრამა რომ გათამაშდა, რამაც პრაქტიკულად საფუძველი მოუმზადა ჩემი პედ. პრაქტიკის დასასრულს, თუმცა ეს არაა მთავარი... მე ის მაოცებდა, თუ რატომ, თუ რამ და როგორ მოიყვანა ჩემი მოსწავლე ამხნის შემდეგ ჩემთან, მაგრამ ჩუმად ვიჯექი და ვუსმენდი მას... ჩანდა, რომ მაშინ დატრიალებული „ორომტრიალი" კვლავაც განაგებდა მასში მონაწილე პერსონაჟების ბედს (ჩემს გარდა).

მიმიხვდით, ალბათ, რომ ხსენებული დამაინტრიგებელი საღამოს გახსენებას ვაპირებ, მაგრამ მანამდე ნინოს მოვუსმინოთ:

„– არ ვიცი, თქვენ გსმენიათ თუ არა, რომ მე ვაჟას გავყევი ცოლად..."

„– მსმენია"

„– დათო კი... დათო სადღაც გააქრეს მშობლებმა... მე დიდხანს ვერ მივაგენი მას; როგორც შემდეგ გაირკვა, დათომ სადღაც ციმბირში განაგრძო (თუ გააგრძელებინეს) სწავლა, სამედიცინო ინსტიტუტში.

„– მართლა?!"

„– მე დათოს მშობლებმა მისამართი არ მომცეს, მე სამი წლის განმავლობაში ველოდი მისგან თუნდაც პატარა ბარათს, მაგრამ... ბოლოს ისევ ვაჟა დამეხმარა და დათოს ადგილსამყოფელი გამაგებინა; მე მას მივწერე წერილი ერთხელ, მეორედ, და მეათედ, მაგრამ... ბოლოს ყველა ჩემი მოსაკითხი წერილი თუ ბარათი ისევ მე დამიბრუნდა... ხელუხლებელი.

მე არ ვიცოდი რატომ მოხდა ასე, და, როგორც შემდეგ გაირკვა, ჩემი ახლანდელი ქმარი, თქვენი „ფრიადოსანი" ვაჟა, ჩასულა იმ ქალაქში და დათოსთვის უთქვამს, თუ როგორი წარმატებითაა დაუფლებული იგი ჩემს სულსა და სხეულს და რომ მე, ლამის არის, მთელი თბილისის ხასად ვიქცე და... იცით, რატომ მოვედი თქვენთან, ბატონო... გიორგი... უფრო სწორად... გიორგი მასწავლებელო?! მე მივატოვე ვაჟა, ჩემი კანონიერი ქმარი, რადგან ისევ დათო მიყვარს, რადგან... რადგან იგი ჩემი ერთადერთი მამაკაცია! უკაცრავად... ამ ათი თუ თერთმეტი წლის წინ თქვენ იყავით ერთადერთი ადამიანი, ვინც არ გაგვკიცხა ჩვენ, ვინც გაიგო ჩვენი სიყვარული... თუ გახსოვთ, იმ საღამოს მე იქ, თქვენს ძველ ბინაში გავათიე ღამე იმის შიშით, რომ მამაჩემს არ მოვეკალი... და, აი, ახლაც მეშინია მე სიკვდილის, ოღონდ ამჯერად ჩემი კანონიერი ქმარი მემუქრება ამით... სიკვდილით!"

„– რატომ, ნინო?! რა მოხდა ასეთი?"

„– ამ ერთი კვირის წინ ვაჟა შეესწრო იმას, როცა მე და დათო... დათო ახლა ერთი დიდი ფირმის პრეზიდენტია და... მე მასთან მინდოდა მუშაობის დაწყება და – ერთი სიტყვით, ძველი სიყვარული გაგვახსენდა!"

„– დათოსთან როგორ მიხვედი... არა... მე ეს არ უნდა მეკითხა... დათო პირველად ნახე, მას შემდეგ?"

„– არა, ამ ერთი წლის წინ, ვაჟამ მოსკოვში წამიყვანა, იქ მათი სამეცნიერო თავშეყრა უნდა გამართულიყო და იქ გავიგე, რომ ვაჟას მეცნიერულ „წარმატებებს" თურმე დათო აფინანსებდა... დათოს იქ შევხვდი პირველად... ცხრა წლის განშორების შემდეგ..."

აი, ახლა კი უნდა გავიხსენოთ 1985 წლის ივლისში მომხდარი ამბავი, რამაც მე, როგორც პიროვნება, ისევ ჩამითრია ამ სასიყვარულო სამკუთხედის პერიპეტიებში და სანამ ნინოს მონათხრობს განვაგრძობდე, სჯობს, თავად აღვწერო ის საღამო.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

## ერთი ლექსი სიყვარულზე

მიხაილ ლერმონტოვი

1814-1841



ჩემს სულს დაეხსენ! უცხო ხარ ჩემთვის!
აწ გამკიცხავ თუ ბოდიშს მომიხდი,
აღარ მანაღვლებს და ისლა მეთქმის,
რომ შენს წინაშე ქედს არ მოვიხრი.

თავისუფლების მადლს რომ ვეწიე,
რომ არ ვმორჩილებ სატანურ ძალებს,
შენც ხომ იცოდი?! – მაშ, რად შემწირე
შენს ცოდვით სავსე ღიმილს და თვალებს?!

...და რომ მეგონა – ღმერთმა შეგვყარა,
რომ ჩემს იმედად იარებოდი,
მე შევიძულე მთელი ქვეყანა,
უფრო მეტად რომ შემყვარებოდი...

იმ დღეთა სვლა და იმ წამთა ქროლა,
შენს ფერხთით ფუჭად რაიც ეთრია,
ეგება იყო საზარი ბრძოლა,
შთაგონებისთვის რომ წამერთმია.

აწ ჩემი სულის ღვთიურ განსაცდელს
შენ რას შეიცნობ, შენ რას გაიგებ?!
შენზე ფიქრი თუ გზას არ ამაცდენს,
მე უკვდავებას ფეხქვეშ დავიგებ!

რას მპირდებოდი და დღეს რა მიყავ,
როგორ შიხმობდი და როგორ დამხვდი?!
ო, თავიდანვე რატომ არ იყავ
შენ ის მაცდური, ბოლოს რომ გახდი?!

მე ამაყ ვარ! სხვისკენ გაიქცეს,
დე, ვნებიანი შენი ფიქრები...
ეს დედამიწა მთლად რომ დაიქცეს,
არავის მონა მე არ ვიქნები!

*ამ რუბრიკას ყოველ ნომერში შემოგთავაზებთ!*

## სატრფიალო კროსვორდი



✱ **თარაზულად:** 3. ხუანის მეტოქე სიყვარულში; 6. ვერონელი გოგონა, უიღბლო შეყვარებული; 11. ლონდრემ გათხარა გვირაბი გაბრიელის სატრფოსთან, რა ჰქვია გვირაბს „იტალიურად"? 12. ბეკინა სამანიშვილის ორნაქმარევი ცოლის ნათესავი აზნაური; 13. რა ჩამოჰქონდა წყალს ერთ სატრფიალო სიმღერაში? 14. რა ივსება (თუნდაც შეყვარებულთა) ცრემლებისაგან თვალთან? 15. დიდი მანძილის საზომი ერთეული, რაც შეყვარებულთათვის სანტიმეტრის ტოლია; 18. მთ. პერსონაჟი რომანისა „როგორ იწრთობოდა ფოლადი" (კომუნიზმზე შეყვარებული); 21. ამაღლებული ადგილი, საიდანაც მამაო ჯვარს სწერს ხოლმე შეყვარებულებს: 23. „ინტრიგის" ქართული სინონიმი (შეყვარებულთათვის უცხო არ არის); 24. გაწვრთნილ-ნაპატიები მეძავი იაპონიაში; 25. რა სჭირდება ხანდახან გაუმხელელ სიყვარულს? 27. რა ჰგონიათ შეყვარებულებს ცოლქმრობა? 29. (კინო)ქუთაისელი, რომელსაც რუსმა ქალმა ხუთი ვაჟი გაუჩინა? 31. რა არის „ფლირტის" წინ ჩვენთან? 32. №6 თარაზულის (ასევე) უიღბლო შეყვარებული.

✱ **შვეულად:** 1.ევროპელი ჯუჯა, სატრფიალო თავგადასავლების ხშირი მონაწილე; 2. საბრალო მავრი, სიყვრულით გულდამწვარი. 4. ევროპული ამალა, საქორწილო მსვლელობათა ხშირი მონაწილე; 5. ქიასავით დაგრეხილი ასო, რომელიც შეყვარებულმა ერთაოზმა ბიძია ბაბუასაგან შეისწავლა; 6. ტურგენევის მოთხრობის, „გაზაფხულის წყლების" ტრფობის ობიექტი იტალიელი გოგონა; 7. მოლიერის კომედიების შეყვარებული ჰაბუკი; 8. ბელადი, რომელმაც ორი ცოლი გამოიცვალა; 9. მოლიერის კომედიების არაშეყვარებული მთავარი პერსონაჟი (თუმცა ეხმარება მიჯნურებს); 10. რა არის (არასამიჯნურო) კავშირი? 16. გურანდას (ცნობილი) ქმარი; 17. თურქი მიჯნურების საკურორტო ქალაქი ეგეოსის ზღვის პირას; 18. ზღაპრული გოგონა, რომელიც უფლისწულმა შეიყვარა; 19. ვინ არის სიმონ ჩაჩავას მეუღლე (იზა გიგოშვილის შესრულებით)? 20. ჩეხური (თუნდაც საოჯახო) ავტომობილი; 22. ლუარსაბ მეორის ტრფობის ობიექტი, თითქმის მდაბიო ქალი; 26. ინდური (ერთდროს გახმაურებული) ფილმი, სიყვარულის შესახებ (იწყება ასო „სან"-ზე); 28. ქალი, რომელიც თაყვანისმცემელთა ნაჩუქარ ბეჭდებს ზღვაში ყრის (...და თავსაც იხრჩობს); 30. ანსამბლ „ივერიის" ერთ ძველ სიმღერაში ნაპირს რომ გასცდება „ის", სხვა დახვდება, მე კი, ალბათ, არა!"

# თავსატეხი

## აღსადგენი კროსვორდი




## ნუმერვორდი



## ...მერე გაჩნდა პრობლემები

# ლოგიკური თამაში „21“

მოცემულია 16 ჯგუფად დაყოფილი 64 ცნება; თითოეულ ჯგუფს ერთი ლოგიკური პასუხი შეესაბამება; მიღებული 16 ცნება ასევე ოთხ ჯგუფად დაიყოფა და ასევე, ლოგიკური პასუხით გაერთიანდება და ბოლოს ამოცნობილი ოთხი სიტყვა გამოავლენს ერთ „ჩემპიონს“, ერთი სიტყვით, მისდიეთ ისრებს და ყოველ ოთხ ცნებას ერთი პასუხი მოუძებნეთ. მაგალითად: 20 თეთრი, მიკროფონი, ჯოხი, აფორიზმი მოგვცემს, ალბათ, გია ჯოხაძეს (?!).

## ლოგიკური ამოცანები

1) ირემაძე, შველიძე და ჯეირანაშვილი ერთ ქუჩაზე ცხოვრობენ. ერთი მათგანი მომღერალია, მეორე — მხატვარი, მესამე — მწერალი, ერთხელ მხატვარს სტუმრების საამებლად სურდა მოეწვია თავისი ნაცნობი მომღერალი, მაგრამ მას უთხრეს, რომ ის მათს ნაცნობ მწერალთანაა. დაადგინეთ, რომელი რა პროფესიისა, თუ ჯეირანაშვილს არაფერი სმენია შველიძის შესახებ.

2) ორმა მეცხვარემ გაყიდა ცხვრის ფარა, თითოეულ ცხვარში იმდენი ლარი აიღეს, რამდენი ცხვარიც ჰყავდათ. ნავაჭრი ასე გაიყვეს: ჯერ პირველმა აიღო 10 ლარი, შემდეგ მეორემ, შემდეგ კვლავ პირველმა, კვლავ მეორემ და ა.შ. უკანასკნელად პირველმა 10 ლარი აიღო, ხოლო მეორეს 10 ლარზე ნაკლები შეხვდა. ანგარიშის გასასწორებლად მას პირველმა კომბალი მისცა. რა ღირს კომბალი?

3) მალხაზს სახლში კედლის საათი გაუჩერდა, რადიო, ტელევიზორი, ტელეფონი და კავშირის სხვა საშუალება მას არა აქვს. უახლოესი დაწესებულება, ფოსტა, სადაც მას შეეძლო ზუსტი დრო გაეგო, მისი სახლიდან საკმაო მაძილზეა. როგორ შეძლო მალხაზმა საათის გასწორება?

4) გიორგი ორი წლის შემდეგ ორჯერ დიდი იქნება, ვიდრე ორი წლის წინ იყო, ხოლო ვიკა სამი წლის შემდეგ სამჯერ დიდ იქნება, ვიდრე სამი წლის წინ იყო, რომელია უფროსი, ვიკა თუ გიორგი?

**არკადი და ლამარა ძურჩიშვილები,**
**წიგნი — „სახალისოდან შემეცნებისაკენ“.**

## ნუმერვორდი

მოცემულ კროსვორდში მონაწილეობს 33-ივე ასო, თუმცა მათ ჩარჩოში რიცხვები ენაცვლება, რომელთა ამოცნობით შეძლებთ კროსვორდის აღდგენას.

ერთ-ერთი ჰორიზონტალზე წერია „ჯოჯოხეთი“, ერთ-ერთი ვერტიკალი კი გიმზადებთ შეხვედრას სიტყვასთან — „ციბრუტი“.

გისურვებთ კარგ გართობას!




მოცემული სამ-სამი ვარიანტიდან, გთხოვთ, შეარჩიოთ ერთი და მითითებულ ნომრებზე ჩაწერით შეავსოთ კროსვორდი

**თარაზულად:**
1. ჩექმა, ლექსი, ლუკმა
5. გერდა, პანტა, ფანდი
8. ქვეღი, მარტო, მხეცი
9. იორდა, ნარვა, ნოინი
10. ლობიო, რისკი, რობაი
11. მაგმა, მეგრე, რუსტი
12. ალალი, იგავი, იფანი
15. ოპელი, ოპერა, ადესა
18. გრუშე, ბუშტი, მქისე
19. ჭრაქი, ანოდი, ჩირქი
20. ვარია, ვიდეო, კოლიო
24. კერია, მარაო, კაკაო
27. სექტა, მორზე, სარფი
28. ლამფა, ლეიბი, შტაბი
29. ცოტნე, ცაცია, ნიტრო
30. გროვა, კასრი, საველე
31. იმაგო, აბედი, ისაკა
32. ომეგა, უვიცი, აყაყი

**შვეულად:**
1. ლანდი, ჩანთა, ჩხირი.
2. ქარვა, კრივი, ქერჩი
3. ოქუმი, იმამი, იმერი
4. წენგო, გროგი, სერსო
5. გულია, მარიო, გირაო
6. რაბლე, ნესტი, ნისია
7. იგორი, ანისი, ირისი
13. ფაქტი, ლორწო, გორდა
14. ლიბია, გირჩი, ნოსტე
16. პარმა, დარდი, დენდი
17. რიქში, საქმე, ლაქია
20. ვაშლი, კუშტი, კოლბა
21. რეისი, დიანა. რუმბა
22. ასაკი, ოსიკო, ამაგი
23. სქესი, ბრასი, ხროვა
24. მედეა, მანია, კაცია
25. რიტმი, კოტრი, მაცნე
26. უდერი, უნაბი, აგორა



# ...ბოლოს მოვიდა კროსვორდი

## კროსმაისტერი

## ანბანთქება



... გეხსომებათ, ალბათ:

*ოქტომბერში დავასრულეთ პირველი საკროსვორდო ანბანთქების სრული ციკლი და „ანბანთქების" ცალკე ფარატინებად გამოცემაც დავაპირეთ, მაგრამ... ნუთუ შესაძლებელია, რომ ამდენ საკროსვორდო გამოცემას კიდევ ერთი დამატებოდა?!*

*ახლა შევავსოთ კროსვორდი:*

(ყველა სიტყვა იწყება ასო „ან"-ზე)

**თარაზულად:**

7. ტკივილის შეგრძნების ლიკვიდირება; 8. 1992 წლის ზამთრის ოლიმპიადის დედაქალაქი; 10. ერთ-ერთი ტბა, რომელსაც ზღვას უწოდებენ; 11. სადაური იყო 18 წლის ჭაბუკი, ნელსაცხებლების ოსტატი? 12. „სტიქიური" წყლის საოჯახო ჭურჭელი; 15. ირან-აზერბაიჯანის სასაზღვრო პუნქტი (ჰკითხეთ შოპ თუ შოფ-თურისთებს!); 18. დღევანდელი ფირმების რეგისტრირების აუცილებელი (?!) „დამხმარე" ორგანო, პირი, თუ პროცესი?! 19. დიდი ბრიტანეთის (ინგლისის) მეორე სახელი; 20. უცნობი ავტორი; 21. ერთ-ერთი სასიმღერო ტოპონიმი კინოფილმიდან „განგაში"; 25. უცხო სახელმწიფოს ტერიტორიის დაპყრობა; 26. ქართლის მეფე ჩვ. წ.-მდე პირველ საუკუნეში (რომაელთა შემოსევისას); 27. აღმოსავლური წარმოშობის თბილისის ბინადარი; 31. მითოლოგიური ქალი, რომლის სახელი თანავარსკვლავედს და ნისლეულს ეწოდა; 33. ჰუნების წინამძღოლი რომის იმპერიის დალაშქრვისას. 34. შორეული აღმოსავლეთის მდინარე; 35. ვინ იყო დინასტიით ქსერქსე, დარიოსი, კიროსი და მისთანები; 36. კოსმიური სამყაროს შემსწავლელი მეცნიერი.

**შვეულად:**

1. რა „პროფესიისა" კინოპერსონაჟი ანანია? 2. რა სიტყვა გვაცნობს (პირველად) თინათინს? 3. რამაზ ჩხიკვაძის საყვარელი პერსონაჟი ბრეჰტის შემოქმედებიდან; 4. ცნობილი საანდაზო ბატკნის პატრონი; 5. ინდური ფილმი რაჯ კაპურის მონაწილეობით; 6. სამშენებლო თაბაშირის სახესხვაობა; 9. სიტყვასიტყვით ლათინურად ნიშნავს „თავდასხმას"; 13. მიწის (კეთილშობილური მიზნით) მჩიჩქნელი; 14. საქართველოს ტელევიზიის „მთავარი" სტუდია; 16. საავიაციო ლითონი; 17. მაშ, რა „უყვარდა" ანანიას? (იხილე № 1); 22. ლექსი, რომელშიც ვერტიკალური მიმართულებითაც იკითხება ესა თუ ის მცნება; 23. ის, რაც დამტკიცებას არ საჭიროებს; 24. საჰაერო ობიექტების ნავთსაყუდელი; 28. სისხლნაკლებობა (... და ამავე სახელწოდების ქართული ფილმი); 29. რაიმე მოძღვრების ან იდეის თავგამოდებული მიმდევარი; 30. „ბაირაღი" თურქულად, „დროშა" — სპარსულად, არაბულად რა არის? 32. იორდანიის დედაქალაქი.

მოცემულია ციფრებით და რიცხვებით დაშიფრული სიტყვები, თუმცა ერთი ასოს აღმნიშვნელი ერთი ციფრი ან რიცხვი თავისი მომდევნოსაგან ინტერვალით არ არის გამოყოფილი და სწორედ ეს გახლავთ ამ სავარჯიშოების სირთულე. თქვენ უნდა მოძებნოთ ასოთა შორის (ე. ი. ციფრებს შორის) ზღვარი და ამოიკითხოთ სიტყვები.

**ზედა სავარჯიშოს „ტექსტი":**

1) 77798779997797979

2) 999777987797897779

3) 77798779999799977779

4) 97797978798777

5) 7999779799999779

6) 797979777977779

**ქვედა სავარჯიშოს „ტექსტი":**

1) 9777987779997798777

2) 9987799979788789779

3) 7977779797877779

4) 9977798779997797777

5) 977999788779779

6) 9898779789797877779

**გასაღები:**

ა-7, ბ-77, გ-777, დ-78, ე-8, ვ-87, ზ-877, თ-8777, ი-79, კ-9, ლ-97, მ-977, ნ-9777, ო-978, პ-98, ჟ-987, რ-9877, ს-98777, ტ-979, უ-99, ფ-997, ქ-9977, ღ-99777, ყ-9978, შ-998, ჩ-9987, ც-99877, ძ-998777, წ-9979, ჭ-999, ხ-9997, ჯ-99977, ჰ-999777.

### ზედა სავარჯიშო



### ქვედა სავარჯიშო



## საკროსვორდო მემუარები

არსებული პრეისკურანტით კროსვორდისტი ყველაზე ნაკლებანაზღაურებადი და ჩრდილში მოქცეული პირია პრესის (გონებანათელ) მუშაკთა შორის, მართალი მოგახსენოთ ამგვარი უპატივცემულობა არანაირ პროტესტს არ იწვევს ჩვენში, რადგან:

ერთხელ ერთმა საგაზეთო „მაგნატმა" სექსო-პორნო-„სამკურნალო" (?!) დანიშნულების გაზეთის გამოცემა გადაწყვიტა და, რედაქციის შეკოწიწებამდე, პირველ რიგში კროსვორდისტი (ანუ მე!) იხმო თავისთან და გამოსაცემი გაზეთისათვის თემატურად შესაბამისი კროსვორდის შედგენა დაავალა.

კროსვორდი, დათქმულ ვადაში, შედგენილ იქნა.

... პირველივე ჰორიზონტალზე კროსვორდისტმა, მისი აზრით, ყველასათვის ცნობილი სიტყვა — „ფრიგიდულობა" — მოათავსა...

„მაგნატმა" (სექსო-პორნო) კროსვორდის ხილვისას ტუჩები ააცმაცუნა (გახსოვთ ლექსი: „შენა ხარ კაცი კაცური, გიყვარს ტუჩების ცმაცუნი"?!) და იკითხა:

„ფრიგიდულობა რა არის?!"

... ჰოდა, საქმე იმაშია, რომ ის გაზეთიც გამოიცა და რედაქციაც შეკოწიწდა... კროსვორდისტის გარეშე.....

## ნათესაობითი ბრუნვა



***ამ ბრუნვის ნიშანი გახლავთ -ის***

***თავისებურება: ა) ხმოვანფუძიან სახელებსი ო-ზე და უ-ზე დაბოლოებულებს, დაერთვის მხოლოდ -ს (კუ-ს ტბა, ხბო-ს ტყავი); ბ) ფუძეში ალ, ელ, ამ, ემ, ან, ენ, არ, ერ ინფიქსის მქონე სიტყვები იკუმშება (ირ-ემ-ი — ირ-მ-ის, იფ-ან-ი — იფ-ნ-ის და ა. შ.). გ) ონ, ორ ინფიქსების ნაცვლად ჩნდება ვ (პამიდ-ორ-ი — პამიდ-ვრ-ის, მაწ-ონ-ი — მაწ-ვნ-ის).***

***ამ „სასკოლო მასალის" შემდეგ მივხედოთ კროსვორდს.***

(თარაზული და შვეული მიმართულებების მითითება საჭირო არ არის, მგონი)

1. რის ჩატარების წინაპირობაა ანბანთქების კროსვორდის № 7? 2. რომელი ფრინველის სახელი ეწოდა ავიაკომპანიას? 3. ვისი რომანია „რობ როი"? 4. რის პერანგი „უყვარდა გრ. რობაქიძეს? 5. რის ხურმაა ცნობილი: 6. რა ჰქვია ბერძნულად ფაქტს, როცა ცხოველები ემსგავსებიან რაიმე საგანს თავგადარჩენის მიზნით? (ჩასვით, ნათ. ბრუნვაში); 7. რომელი გუნდის გულშემატკივარია თითქმის მთელი მოსკოვი? 8. რომელი პოლიტიკოსის სიმბოლო იყო პენსნე? 9. რომელი საკურორტო კუნძულები ეკუთვნის ესპანეთს აფრიკის ჩრდ. დასავლეთით; 10. რის ნახტომია ცაზე? 11. რის აბანოში სვამენ დამნაშავეებს? 12. ვისი პარტნიორი იყო ნიკულინი კინოფილმში „ბრილიანტის ხელი"? 13. ვის მიერ გამოგონილი პერსონაჟია კომისარი მეგრე? 14. ვის გვარს ატარებდა ბელადი გაბელადებამდე (იხილე კროსგიგანტი, მე-8 გვ.); 15. რის სუნი უდით (დაუზარელ) ლოთებს „პახმელიიდან" გამოსვლის შემდეგ? 16. ვის სახელს ატარებს ერთ-ერთი სრუტე სამხრ. ამერიკასა და ანტარქტიდას შორის? 17. ვისი ტრაგედიაა „ყაჩაღები"? 18. ვისი ნაამბობია ყველაზე ცნობილი? 19. ვის სახელს უკავშირდება 70-იან წწ. ჰოლანდიური ფეხბურთის წარმატებები? 20. ... კიდევ რის ფაფა იცით? 21. მაშ, ვისი თანაკლასელი იყო პაპარაცი (გადაიკითხეთ რუბრიკა „პოლიგლოტი"?); 22. რომელი ქვეყნის „დამსახურებაა" ამერიკის აღმოჩენა? 23. რომელი გეოგრაფიული პუნქტის წარმომადგენელია ეპისკოპოსი „მაწყვერელი"? 24. რის მერიდიანია ყველაზე ცნობილი? 25. რის სიცილი ახასიათებთ ხოლმე შეურაცხყოფილებს? 26. რის დიდოსტატი იყო ვერდი? 27. რის ტყუპებია ყველაზე ცნობილი? 28. (თუ გახსოვთ) რომელი ცხოველის შესახებ საუბრობენ პიპინია და მისი მოსწავლე? 29. რის ფერია „სოფელი" 30. ვისი ძმაა რობერტო ბაჯო? 31. რის ნახევარკუნძულზეა გაშენებული ბაქო? 32. რის კინოფესტივალია ყველაზე პრესტიჟული მსოფლიოში? 33. რის ირონია დაგვჩემდა ახალწლობით? 34. რის ჰამაა ადვილი? 35. რის დაწყვილება მოახერხა ქართულმა ისტორიოგრაფიამ დარუბანდთან? 36. საკუთარი „რის" უარყოფა ეძნელებათ (დაპროგრამირებულ) ადამიანებს?

## მინიცაიფუვორდი



**თარაზულად:**

1. „იყიდე შოლოხოვის მდინარე", სიყვარულის ღმერთო! (რუს. კავშ); 7. ნაცარქექიას „დიპლომატი"; 8. ქალების პროფესიონალური „ჩვევა"; 9. „საპატიმრო" წყლისათვის; 10. რა აკავშირებს ერთმანეთთან კროუფორდს და კვერნას; 12. სექსუალური მანიაკი ქართულად; 14. ნიადაგის დანაწევრება; 15. ტუალეტის ქაღალდის საზომი ერთეული; 16. რა არა აქვთ ვაჟა-ფშაველას ერთ ლექსში მოტირალ შეყვარებულებს? 17. დუმბაძისეული ქურდის „საყვარელი" ციტრუსი;

**შვეულად:** 1. ძალიან ბევრი... თავთავი (რუს. კავში); 2. (კინო) ქუთაისელი, რომლის სახლთან სულ გამუდმებით ასიგნალებენ მანქანები; 3. სომხური თევზის მოყვარული დანიელ ჭონქაძის პერსონაჟი; 4. ინგლისელ აგიაშვილის პლუს იტალიელი მოსულიშვილი, რა გამოვიდა? 5. ძიძიასაგან რქებდადგმული კაცი; 6. კაცი, რომელსაც მავრის მეუღლის შეცდენა დააბრალეს; 9. „ინგლისის „კლიჩკა"; 11. ცემა-ტყეპა „ყუთში"; 13. ხან ინდიელი, ხან წყნეთელი...

## მინიკროსვორდი



**თარაზულად:** 1. მას-მედიის სპეციალობა; 7. მექანიკური კონდიციონერი; 8. თეატრალური „პასუხი"; 9. მხატვრის სამუშაო „ფართი"; 10. ჩრდ.-დას. საფრანგეთის ისტორ. ოლქი; 11. გარეული ღორი; 12. „მიშველეთ!" — ზღვაოსანთა ენაზე; 13. პუშკინის გადია; 14. იგივეა, რაც დანტისტი; 15. ჩინეთის „მთავარი" კომუნისტი; 16. (დაახლ.) იგივეა, რაც უპირატესობა;

**შვეულად:** 1. რუსული პოლიტიკის ერთობ ემოციური „წარმომადგენელი"; 2. გრეგორი პეკის სპეციალობა „რომაულ არდადეგებში"; 3. ქართველ თავადთა გვარი; 4. კურორტი ბორჯომის რნ-ში; 5. კომედიის მუზა ბერძნულ მითოლოგიაში; 6. უსისტემოდ დახვავებული ბგერები; 9. „რომეო და ჯულიეტას" უარყოფითი პერსონაჟი; 12. ბერძნული ანბანის „კრებითი" ასო;

# კროსგიგანტი

## ...და ასე შეიქმნა 160 სიტყვიანი გიგანტი



**შვეულად:** 2. იგივეა, რაც მოხალისე (ფრანგ.); 3. ფრანგული რევოლუციური სიმღერა; 5. ჩრდ. ამერიკის მთათა სისტემის „ერთი ერთეული"; 6. რა არ სჭირდებათ ტიტლიკანა აფრიკელ ტომებს? 7. საფოსტო ნიშნების შეგროვება; 8. მეტყველების მელოდიური მხარე; 11. თოფის სახეობა; 12. კაცი, რომელიც სხვისი წამებით ტკბება; 13. ნუშის ლიქიორი იტალიიდან; 14. მმართველობის არაჰუმანური ფორმა 15. ცხოველის დასაჭერი; „საშუალება"; 16. საარჩევნო სიტყვა; 28. ქალაქი, სადაც „პიგმალიონის" ამბავი „მოხდა"; 29. გერმანიის იმპერატორთა ტიტული; 31. ტლანქი და უზრდელი ადამიანის მოსახსენიებელი სიტყვა; 32. (იმავე) „პიგმალიონის" ქალაქის ბუნებრივი „პირბადე"; 33. საბანკო-საანგარიშო ქაღალდი; 34. სტალინის მიერ გაძევებული (და მერე მოკლული) კომუნისტური ლიდერი; 36. კინო-ფოტო აპარატურის დასამაგრებელი დანადგარი; 37. ადრე „მას" მუშტარი ერქვა; 38. იცანით ეს ბემურაზი? (იხილე ზემოთა ფოტო); 39. საფრანგეთის ქალაქი; 40. ლიტვა-ბელორუსის მდინარე; 41. ევროპელ არისტოკრატთა სამოსი; 42. მაგიდის პარტნიორი; 43. ჰუსეინების ლიდერი; 50. ბრეჟნევის სისხლის გამშრობი; 51. ერთ-ერთი სისხლძარღვი; 53. ნემსის ირგვლივ „მოცეკვავე" ფანქარი; 54. თერმომეტრის „ეკრანი"; 55. დავით აღმაშენებლის მეორე ვაჟის, ვახტანგის, მეტსახელი; 56. ცნობილი ლატვიელი ბალერონი, მარის... 57. როგორი ეგონათ ზურიკელა, თბილისში რომ ჩამოვიდა? 58. ქართული ფილმი ველოსიპედისტი ბიჭის შესახებ; 59. საგარანტიო ნივთი; 60. -ლა ნაწილაკის „კოლეგა" – სიტყვა; 61. სავარაუდო სიტყვა; 62. ხორბლის, ნიგვზის, თაფლის... საერთო პროდუქტი; 63. უკანასკნელი 4-5 წლის ყველაზე საჭირო ნივთი; 64. მიხ. ჯავახიშვილის ერთი მოთხრობის „ქორწილგადასხდელი" პერსონაჟი; 65. საომარი ნადავლი; 74. ცხოველი, რომელსაც ემგვანება ქალი გაკაპასებისას (...თან ბოდიშს გიხდით!); 75. შენობა, სადაც შუამავალი კომუნისტი „ლაქიები" ხალხის სიკეთისთვის იღწვოდნენ; 76. ევროპული ჯოხი; 79. „ნიკოლოზის" ქართული კნინობითი ფორმა; 80. რა მოუხდებოდა წინ მსახიობ „ლი"-ს? 81. ერთგვარი მაღალყელიანი ზედასამოსი, მისი „მოფერებითი" ფორმით; 82. სასულე მუს. ინსტრუმენტი; 83. რა შეგიყვარდათ „კიჭების" ამოსვლის შემდეგ? 84. დიდი რუსი მსახიობი ქალი (საცოდაობა არ იყო მისი, როგორც ხელოვანის, კომუნისტების სამსახურში დგომა?!); 85. გველის „საუბარი"; 86. ეჭვმიტანილის უდანაშაულობის საბუთი; 87. თანამოსაუბრის ყოფის გასარკვევ-დამწყები სიტყვა; 89. რა მოჰყვა „მოამბეს"? 90. რა არ არისო უცხოობაში – რას ამბობს სოლომონის მეუღლე, სოფიო? 95. სპილოს ჩრდილოელი წინაპარი; 96. დაახლ. იგივეა, რაც მარაგი (მხ. რ.); 97. ძველეგვიპტელთა უზენაესი ღვთაება (და, მგონი, ოსებისაც?!); 98. მეცნიერ-კურორტოლოგის სახესხვაობა, ანუ კაცი, რომელიც მინერალურ წყლებს შეისწავლის; 99. მექანიკის ნაწილი; 100. მუს. ბგერების უაზრო დახვავება; 101. ყველაზე დიდი „ნა-ნა-ისტი"; 102. მატარებლის „მთავარი მანქანა"; 103. ჩაპლინიც, ლუი დე ფიუნესიც, ხვიჩიაც... საერთო ამპლუით; 104. აკიმისაგან გაწამებული ბაბუა; 105. მსოფლიოს სამაფიოზო ცენტრი (იხილე თარ. № 54-იც); 106. ღვინო და სოფელი (ან პირიქით) გურჯაანის რ-ნში; 118. ქართველი კომპოზიტორი, ავტორი სიმღერისა „ბუხენვალდის ზარები" (... თუ ნაღარა?!); 119. ძველი ქართველი ფეხბურთელი, გაიოზი. 121. „ასეთია ქურდი კაცის ბედი..." – რა დასდევს უკან? 122. დაახლ. იგივეა, რაც დამცინავი, აბუჩადამგდები; 127. სესილია თაყაიშვილის პერსონაჟი ფილმში, „ჩვენი ეზო"; 128. გაალეთ კარი, გაალეთ ფანჯარა... ჩაწერეთ კროსვორდში სიტყვა... დახურეთ კარი, დახურეთ ფანჯარა... (არ გაცივდეთ!); 129. იაპონური ხალიჩა, რომელსაც მოჭიდავეები თუ „შეისყიდიან"; 130. „საღებავი", რომელიც ნაკვალევს ტოვებს... მოღალატის ან კანონიერის სახეზე; 132. რა ჰქვია კორსიკელ ფალკონეს? 133. რა ვერ მალავს შუბს? 134. მუსლიმანთა „ლიდერი"; 135. ფართო, საწვნე ჭურჭელი; 136. როგორია „სინამდვილეში" ის, რაც რეკლამირებისას პირიქით ხასიათდება? 137. ძველეგვიპტური მითოლოგიის „წიქარა".

**თარაზულად:** 1. ბუნების მოვლენა; 4. ინგლისური რეალისტური პროზის პირველი წარმომადგენელი; 7. სადემონსტრაციო-საკონცერტო ღონისძიება; 9. სასიყვარულო თამაში; 10. რომის (არტისტული) იმპერატორი; 11. საგამოცდო-სათავშეყრო ღონისძიება; 14. დადგენილი გადასახადი; 17. სამხრ. აფრიკის ეროვნ.-განმ. მოძრაობის მოღვაწე; 18. პოლონელი კომპოზიტორი, ავტორი ცნობილი „პოლონეზისა"; 19. ჟან რასინის ტრაგედია (მეამბოხე) ბრძენი ქალის შესახებ; 20. ბრაზილიური ცეკვა; 21. გოეთეს ნაწარმოების პერსონაჟი მელა; 22. გულისძგერის • (ან მისი მსგავსი ცნებების) დარღვევა; 23. დიდი მოურავის მშობლიური სოფელი; 24. იაპონური (სპეც.) გაწვრთნილი მეომარი; 25. ორგანიზებული მოგზაურობა; 26. სამართალმცოდნე პირი; 27. ნოდარ დუმბაძის რომანის პერსონაჟი; 30. ქვასანაყის ძვ. თბილისში გავრცელებული სახელი; 35. ჩვენებური „დონ-ჟუანი"; 44. ებრაელების მოძულე პირი; 45. პროდუქციის დაწუნება; 46. რაიმე ფარულის სააშკარაოზე გამოტანა; 47. ნობელის პრემიის ლაურეატი, ანუ... 48. საქმის ამხანაგი; 49. „პოლიგლოტი" თუთიყუში; 52. ციხე-სიმაგრე (და კუნძული) მარსელის სიახლოვეს; 54. კუნძული იტალიის სიახლოვეს; 59. ოთარ თაქთაქიშვილის ბალეტი; 62. ისტორიული მხარე ხმელთაშუა ზღვის აღმ. სანაპიროზე; 66. ლატვიური ლიტერატურის პოეტი-კლასიკოსი; 67. ესპანელი ფერმწერი; 68. სასაპალნე ცხოველი (ძვ. სახელი); 69. აკვნის თვისება; 70. „მთვარის მოტაცების" სვანი პერსონაჟი ქალი; 71. ქალაქი უზბეკეთში; 72. ქალაქი რუსეთში; 73. დაახლ. იგივეა, რაც დანადგარი; 77. საღებავების გასაზავებელი ბლანტი სითხე; 78. ცელქი და დაუდგრომელი; 83. პუჩინის ერთი ოპერის სახელში ორჯერ გამეორებული სიტყვა; 85. რა ჰქონდა კვაჭი კვაჭანტირაძეს საყვარლების დასახარისხებლად? 88. ახლო წარსულის თბილისელი (რუსი) ხელბურთელი; 91. იტალიელი კომპოზიტორი, ავტორი „ჯამბაზებისა"; 92. ქალაქი რუსეთში; 93. პრესის მუშაკი; 94. საბჭოთა მოჭადრაკე, მსოფლიო ჩემპიონობის მრავალგზის პრეტენდენტი; 95. რა ერქვა კემპესს? 100. საზ. კვების ობიექტი; 104. საყმაწვილო-სატრანსპორტო საშუალება; 107. სხეულთა წონასწორობის შემსწავლელი მეცნიერება; 108. გია დანელიას ფილმების (და სხვა ფილმებისაც) უნიჭიერესი რუსი მსახიობი; 109. ქართული ფეხბურთის დიდება; 110. აფრიკის პეიზაჟის „პატარძალი"; 111. რანჩოს მფლობელი; 112. ბიზნესის „სფეროს" მუშაკი; 113. ხე-„ბავშვობაში"; 114. მე-8 ს. ქართლის (არაბეთმოვლილი) პერსონაჟი; 115. როგორი (გაზეთი) ბირჟა გამოდის თბილისში? 116. ორგანიზმის „რეაგირება" ორგანიზმის მფლობელის სხვაგან ხსენებაზე; 117. საზოგადოებრივი სახე; 120. „შუშანიკის წამების" ერთი მღვდელი პერსონაჟი; 123. იტალიელი კომპოზიტორი, ავტორი „სევილიელი დალაქისა"; 124. შუა სს. ფრანგი პოეტი; 125. შარვლის სახეობა; 126. თვითგამჩერებელი; 131. ევროპის სახელმწიფოს დედაქალაქი; 132. უნგრელი მხატვარი (ბატონი) ზიჩი; 135. სანათესავო სახელი ჰარიეტ ბიჩერ-სტოუს რომანში; 138. ერთი ქართული მისამღერის განვრცობილი ვარიანტი; 139. შუამდინარეთი; 140. რა აქვს ზოგიერთ მელოტს თავზე? 141. სომხური „სახალხო" საჭმელი; 142. ტანვარჯიშული იარაღი; 143. უდიდესი ინგლისელი მსახიობი; 144. მეორე მსოფლიო ომის დროინდელი გერმანული თვითმფრინავი; 145. ფეხბურთი – ამერიკაში; 146, არაბული სახელმწიფო; 147. (არაკეთილხმოვანი) ძვირფასი ქვა.

# ანეკდოტის ოსტატები

**ჩვენ გვსურს შევქმნათ ერთგვარი ანთოლოგია ანეკდოტებისა, ანუ ჩავიწეროთ, დავაჯგუფოთ და წარმოგიდგინოთ ცნობილი ადამიანების მიერ მონაყოლი მხიარული ამბები:**

**(გენადი ხაზანოვი)**

ქართველი ჯარისკაცი მივიდა ფოტოგრაფთან და სურათის გადაღება ისურვა.

– „როგორ გადაგიღოთ: ხის წინ, ხის გვერდით თუ ხეზე ახვალო?" – იკითხა ფოტოგრაფმა.

– „არა, მე ხის უკან დავდგები და ისე გადამიღეო!!"

– „ეს როგორ?!" – გაიოცა ფოტოგრაფმა.

– „როგორ და: დედაჩემი მიიღებს ჩემს სურათს, დახედავს მას და იკითხავს – სადა ხარ, შვილო, გივი?! მე კი უცებ გამოვვარდები ხის უკანიდან და დავიძახებ – აქა ვარ, დედი!!!"

**(მიხაილ ბოიარსკი)**

უდაბნოში მიდის კაცი, წყურვილით კვდება; შემოხვდება ჰალსტუხების მაღაზია და გვერდს აუქცევს. ისევ მიდის, წყურვილით კვდება; შემოხვდება ქალი და შესთავაზებს – „ჰალსტუხი იყიდებაო"; კაცი გვერდს აუქცევს, ისევ მიდის, ისევ წყურვილით კვდება, შემოხვდება ბავშვი და ჩააცივდება – „იყიდე ძია, ჰალსტუხი, იყიდე!" კაცი გვერდს აუქცევს, მიდის, წყურვილით კვდება.

როგორც იქნა მიადგება რესტორანს, მაგრამ იქ არ უშვებენ.

„რატომ არ მიშვებთ" – ბღავის კაცი.

„ჰალსტუხის გარეშე შესვლა აკრძალულია!" – პასუხობს შვეიცარი.

**(ვახუშტი კოტეტიშვილი)**

მიხოს შვილი ყოველთვის ნაცემი ბრუნდება სახლში. მიხო ყოველდღე, ეკითხება მიზეზს, მაგრამ შვილი არაფერს პასუხობს, ბოლოს იფიქრა მიხომ.

– გავყვები და ვნახავ, ვინა სცემსო...

გაჰყვა და ხედავს: მისი ვაჟი ინსპექტორთან მივიდა, რაღაც წასჩურჩულა, იმ ინსპექტორმა კი გაუქანა და მოუნგრია ყბა...

– რა იყო, რა დაგიშავა, რათა სცემო, კაცო?! – მიიჭრა მიხო ინსპექტორთან.

– იცი, რას მეუბნება ამდენი ხანია შენი შვილი?

– რასა კაცო?!

– ლეკვებს რო დაყრი, ერთი მე მომეციო...

ი/ს – «ფანტაზია»

რეგისტრირებულია ისნის რაიონის სასამართლოს მიერ, №7/1-1811

ალექსანდრე და ვახტანგ ელერდაშვილები